


K 82.324

3

პ.ი. ნოღია ქ. ეშვენიერაძე



უშა სამი

614. 213 (e 922)

ა. ი. ნოღია, გ. 3. გეგენიშვილი



ს უ 6 ა 8 0

K 82.324



სახელმწიფო გამოცემა-გაზმუნა
„საგანგოთა საჩართველო“
თბილისი
1958

შინასიტყვაობა

სურამი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია. იგი განთქმულია სამკურნალო საშუალო მთის ჰავით და ზაფხულობით ბრავალ დამსვენებელს იზიდავს. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მას განსაკუთრებით ეტანებიან დამსვენებლები და ავაღმყოფები თბილისიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, ბაქოდან და აგრეთვე საქართველოს და ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონიდან.

სურამმა, როგორც მალარიის საწინააღმდევო სადგურმა, თანდათან გაითქვა სახელი განსაკუთრებით 1895 წლიდან—ამიერკავკასიის რკინიგზის სამალარიო პუნქტის დაარსების შემდეგ. უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში სურამის ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს—ჰავას შეემატა აქ შორეული წარსულიდან ცნობილი გოგირდის მინერალური წყლების ორგანიზებული გამოყენება და იგი კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტად გადაიქცა. ამან ხელი შეუწყო 1948 წლიდან სურამის გამოცხადებას რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად.

უნდა აღინიშნოს, რომ სურამის, როგორც კურორტის შესახებ მასალა მეტად მცირეა, რაც არ იძლევა საშუალებას მისი სამკურნალო ფაქტორები უფრო ვრცლად წარმოვადგინოთ. ჩვენ შევეცადეთ შეგვეკრიბა არსებული მასალები და მიგვეწოდებინა მკითხველისათვის, რაც, ალბათ, ერთგვარ სამსახურს გაუწევს მათ კურორტის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების გაცნობასა და მათ მიზანშეუწონილად გამოყენებაში.

ურამის ადგილებისარება და მოპლე ისტორიული ცნობები

საქართველოს ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაწარმოებში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ — ასე მიუთითებს სურამის ადგილმდებარეობაზე:

„ხოლო კვალად ალის-წყლის დასავლეთით არს წყალი სურამისა. გამოდის ლიხის მთას, მიერთვის ჩრდილოდამ მტკვარს, ოსიაურს ზეით. აქა არს ჭალა სურამისა, მტკვრის კიდესა, დალალულიდამ შოლამდე. არამედ გაჰკაფა უდ მეფემან ვახტანგ და ქმნა დაბნები. ოსიაურს ზეით, ხაშურს ერთვის სურამის-წყალს ქემერტის-წყალი, აღმოსავლიდამ გამოსდის ლიხის მთას. ამ ხევის შესართავის დასავლით, შინდარას დასავლით, არს სურამი, მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან ქართველნი, სომებნი, ურიანი. არს საშუალს ციხე მაღალს კლდესა ზედა, მტკიცე. არს ჰავითა მშვენი და მხიარულნი...“

ხოლო კვალად სურამის დასავლით, ლიხის მთის საშუალსა შინა, არს დაბა ფონა. ამ ფონას გასდის ჩხერიმელის მდინარე და მიღის დასავლეთს — სამხრეთ შუა მებოძირის ზეითამდე“.

სურამი მდებარეობს თბილისის აღმოსავლეთით, მისგან დაშორებულია 146 კილომეტრით, ხოლო ხაშურიდან — 4—5 კილომეტრით. ამ უკანასკნელს სურამი უკავშირდება როგორც რკინიგზის ხაზით, ისე გზატკეცილით. სურამი ზღვის დონიდან 700—800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს (თანამოსახელე უღელტეხილიდან აღმოსავლეთით).

არსებული ისტორიული მასალების მიხედვით, სურამი
 უძველესი ქალაქია. მის აშენებას ისტორიკოსი პლატონ
 იოსელიანი მიაწერს 112—93 წლებს ჩვენს წელთაღრიცხვამ-
 დე. იგი ძველად ინდოეთის სავაჭრო საქონლის საწყობ აღ-
 გილს წარმოადგენდა, მასში იყო მდიდარი სასტუმროები
 და მექანიკური სადგომები. რომაელი ისტორიკოსები მას
 „სურიუმს“ უწოდებდნენ. სტრაბონის მონაცემებით, სურამი
 აშენებულია 200 წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე. ეს ქა-
 ლაქი მტერს ხშირად აულია და ნანგრევებად უქცევია. სუ-
 რამის ციხე მეთვრამეტე საუკუნის გასულამდე უმაგრეს ცი-
 ხედ ითვლებოდა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს,
 როგორც ისტორიული ძეგლი, რომელიც ამართულია მდინა-
 რე სურამელას ნაპირის მიუდგომელ ციცაბო კლდეზე.

დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ მიხედ-
 ვით, სურამის მფლობელმა მიზნად დაისახა აეშენებია მიუ-
 დგოშელი ციხე-სიმაგრე. მშენებლობის პროცესში ციხის კედ-
 ლები განუწყვეტილივ ინგრეოდა, რის გამოც მან მიმართა
 მკითხავს. ამ უკანასკნელის რჩევით ნგრევის შესაჩერებლად
 ციხის კედელში ჩამარხეს ჭაბუკი. ხალხური ლეგენდა
 მოგვითხრობს, რომ გამწარებული დედის ცრემლებით
 მორწყული კედლის ის ნაწილი, სადაც ჩამარხეს მისი
 შვილი, დღემდე არ გამშრალა და მუდამ სველია.

სურამის გარშემო 1—6 კილომეტრის მანძილზე განლა-
 გებულია სოფლები: გვერდისუბანი, ბაიანთხევი, ზინდისი,
 იტრია, ჩუმათელეთი, ბულაური, ზეკსტა, ურთხვა, ბიჯნისი,
 ჭაპანაური, ნარვანი; ძირითადად ამ სოფლებში ისვენებენ
 საზაფხულოდ ჩამოსული დამსვენებლები.

თვით სურამის უღელტეხილის ფერდობები დაფარულია
 ფოთლოვანი ტყით, კურორტის ტერიტორია კი ხელოვნურად
 გაშენებულია წიწვიანი ხის ნარგავებით. ამ უკანასკნელს 120
 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს.

სურამს, როგორც კურორტს, არა აქვს დიდი ხნის
 ისტორია. განეთ „ივერიის“ (რომელიც ილია ჭავჭავაძის
 რედაქტორობით გამოდიოდა) 263-ე ნომერში (1886 წელი)
 მოთავსებული წერილის მიხედვით, „დაბა სურამს თავის

მშვენიერი ადგილმდებარეობით და მარგებელის ჰაერით
 პირველი ადგილი უჭირავს ზემო ქართლში".

გაზეთ „ივერიის“ 1878 წლის 12 დეკემბრის ნომერში
 ბავრელის წერილში სურამის შესახებ აღნიშნულია:

„სურამი უბან-უბნად არის დაყოფილი მცხოვრებთა კვა-
 ლობაზედ. არის განათლებულთა უბანი, გლეხთა უბანი, სო-
 მეხთა უბანი და ურიათ უბანი. ყველა უბანს თავისი უფროსი
 ჰყავს, თავისი მომრიგებელი, მოსამართლე, თავისი ფოშტა
 და თავისი ხაზინა.

მცხოვრებლები განიყოფებიან: არისტოკრატებად, არში-
 ნოკრატებად, ტეტიოკრატებად და ისრაელთკრატებად".

განსაკუთრებით გაიზარდა სურამის მნიშვნელობა თბი-
 ლისსა და ფოთს შორის რკინიგზის ლიანდაგის გაყვანასთან და-
 კავშირებით. ძველი რკინიგზის მაგისტრალი სურამის გვირა-
 ბას გაყვანამდე გადიოდა სურამიდან სადგურ მოლითისაკენ,
 სადგურ პონით და ბეჭანთუბანით, ხოლო გვირაბის გაყვანის
 შემდეგ რკინიგზის მაგისტრალი გავიდა ხაშურიდან სადგურ
 წიფაზე. ახლანდელი ხაშური-სურამის რკინიგზა წარმოადგენს
 ძველი მაგისტრალის ნაშთს.


რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში (1877 წ.), ხელმძღვა-
 ნელობდა რა სურამის მეტად ხელსაყრელი კლიმატური პი-
 რობებით, ამიერკავკასიის ჯარების სარდლობამ აქ გახსნა
 რამდენიმე ჰარისპიტალი დაჭრილების სამკურნალოდ. ერთ-
 ერთი ჰარისპიტალი აქვე გახსნა მოსკოვის სამედიცინო საზო-
 გადოებამ, რომლის ანგარიშებში ხაზგასმით არის აღნიშნუ-
 ლი სურამის ჰავისა და მინერალური წყლების განსაკუთრე-
 ბული მნიშვნელობა ავადმყოფთა და დაჭრილთა მკურნალო-
 ბის საქმეში.

აი რას წერს უურნალ „იმედის“ 1882 წლის მე-4 ნო-
 მერში გობრონ ლიხელი:

„გაიხსნა თუ არა ფოთი-თბილისის რკინიგზა, სურამი
 შეიქმნა ჩვენი ქალაქების ზოგიერთი მცხოვრებლების და ჯა-
 რების საზაფხულო სადგომათ; სიცხისაგან ქალაქებში შეწუ-
 ხებული მცირე ნაწილი, საშუალო ხარისხის ხალხისა, რო-
 მელსაც იშდენი შეძლება არა აქვს, რომ გავიდეს ხოლმე



ଓକ୍ଟୋବ୍ରେଲୀ
ଶିଳ୍ପିମାତ୍ରା



ଶୁରୁମିଳିପୁଣ୍ୟ.

ბორჯომში, აბასთუმანში, კოჯორში, პიატიგორსკში, გამზ-
 ღლისში და სხვა ამგვარ ადგილებში, სადაც ნამეტან ძვირად
 ჯდება ზაფხულობით ცხოვრება, მოდის ხოლმე თავის მოსა-
 გრილებლად სურამში. ამის გამო სხვა დროს ეს მიყრუებუ-
 ლი, მოწყენილი, უსულდგმულო დაბა ზაფხულში შეიქმნება
 ხოლმე მხიარულ პატარა ქალაქად, სადაც კაცი პოებს სიგ-
 რილესთან სიამოვნებასაც, განსაკუთრებით, როდესაც ჯა-
 რების ბანაკებიც აქ გაიმართებიან ხოლმე და „დუხოვი
 მუზიკის“ ხმა თითქმის განუწყვეტლად ატკბობს მის სმენას.

მერწმუნეთ, თუ არ ის, რაღაც გაუგებელი ჩვენი თვისება,
 რომლის ძალითაც უმეტეს ნაწილით ჩვენ მივიწევთ ხოლმე
 უფრო იქით, საითაც ბევრი დაბრკოლებები გვიხდებიან გზა-
 ზედ და სადაც უფრო ძვირად გვიჯდება სიამოვნება, სუ-
 რამი უნდა ირიცხებოდეს I ხარისხის საზაფხულო ად-
 გილებში და უფრო ბევრი სტუმრების ღირსია ხოლმე ამ
 დროს, ვინემ რამდენიც ყავს ხოლმე, მაგრამ ტყვილად კი
 არ არის ნათქვამი: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“;
 რადგანაც რკინიგზა შიგ შუა სურამში გამოდის და სტან-
 ციაც იქვე იმყოფება, რადგანაც ხალხი, ამ გზით მოსიარულე,
 ხშირად ხელავს მას და იქ მისვლა-მოსვლა ჩვენი ქალაქები-
 დან ძალიან იატად ჯდება, ამისათვის აღარაფრად მიაჩნიათ
 და მიეშურებიან სხვა გადაკარგულ ადგილებში; როდესაც
 ამას ვამბობთ, ჩვენ სახეში გვყვანან არა რომელიმე ავალ-
 მყოფობით მოცული პირები, რომლებიც, რა თქმა უნდა, იქ
 უნდა წავიდეს, სადაც მათთვის მოსახლენია, არამედ ისეთნი,
 რომელნიც დროს გასატარებლად გამოდიან ქალაქიდან.

სურამელების ყურადღება იმაზე უნდა იყოს მიქცეული,
 რომ როგორმე შეიჩინ „მეზაფხულე“ სტუმრები, ამისა-
 თვის კიდევ ის არის საჭირო, რომ მათი გემოვნებისდაგვა-
 რად მოაწყონ საქმე, მოსპონ ის, რაც მათ არ ესიამოვნებათ.
 მაშინ, ეჭვი აღარ არის, სხვა გადაკარგულ ადგილებში სა-
 ზაფხულოდ გასვლას, ცოტათ არის თუ ბევრათ, თავს მიანე-
 ბებენ და სურამში სიარულს დაიწყებენ“.

სასმელ-საჭმელის სიუხვით და სიიაფით იმდენად განთქმუ-
 ლი იყო სურამი, რომ ზემო ქართლში დარჩენილია ასეთი



ლესია უკრაინკას ძეგლი.

ანდაზა: „იმერელმა თქვაო, იმერეთიდან წავალ ქალაჭიში (თბილისში), სურამში გავიძლობ მუცელსაო და ქალაჭიდან წამოვალ ისევ სურამშიო“.

გაზეთ „ივერიის“ 1888 წლის 144-ე ნომერში აღნიშნულია: „ვინ არ იცის, რომ სურამი მშვენიერი საზაფხულო ადგილია. ყოველ წლობით ხალხიც ბევრი იკრიფება, ზოგი სასეირნოდ და ზოგიც ჯანმრთელობის აღსაღენად. ამ სახით სურამი დიახაც საყურადღებო ადგილი ყოფილა, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ყურადღებას არავინ ათხოვებს. ერთი რომ სურამი ბინძურად ინახება...“.

სურამმა განსაკუთრებული უურადღება პირველად მიიქცია 1891 წლიდან — მის გახლობლად რკინიგზის სადგურ ლიხში სამალარიო პუნქტის გახსნის შემდეგ; ეს პუნქტი რკინიგზის მთავარი მაგისტრალის ბათუმისაკენ მშენებლობის დაწყებისა და 1895 წელს სურამის ულელტეხილზე გვირაბის გაყვანის შემდეგ გადატანილ იქნა სურამში, ყოფილ სახალხო სადგურის შენობაში, 30 საწოლის მოცულობით. ამიერიდან აღნიშნულ პუნქტს ეწოდა სანატორული სადგური და იგი მუშაობდა მხოლოდ ზაფხულის თვეებში. 1921 წლიდან საწოლთა რაოდენობა გაიზარდა 50-შე, სადგურს გამოუცვალა სახელი და ეწოდა სამთო-კლიმატური საავადმყოფო. 1924 წლიდან საავადმყოფო გადაკეთდა ამიერკავკასიის რკინიგზების სანატორიუმად, რომელიც გადაყვანილ იქნა სრულწლიურ მუშაობაზე.

ამჟამად სურამში მუშაობს მოზრდილთა სანატორიუმი 100 საწოლით, საბავშვო სანატორიუმები (ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზური სანატორიუმი 60 საწოლით 1958 წლიდან გადატანილ იქნა ჩითახევში), დასასვენებელი სახლი 120 საწოლით, დიმიტროვის სახელობის საბავშვო სახლი 150 საწოლით და სხვ. არასაკურორტო ბასიათის სამკურნალო ობიექტებიდან კურორტზე არის ადგილობრივი საავადმყოფო და ფსიქიატრიული საავადმყოფო 200 საწოლით.

ზაფხულობით სურამში დასასვენებლად ჩატყავთ აგრეთვე პიონერები, საბავშვო სახლების და ბალების აღსაზრდელები და სხვ.

სურამის ცენტრიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით, ჩუმათელეთის გოგირდის მინერალური წყლების ბაზაზე მუშაობს სააბაზანო შენობა. კურორტიდან ექვს კილომეტრზე კი ამავე ტიპის ბიჯნისის მინერალურ წყალს იყენებენ შედარებით ნაკლებად კითილმოწყობილი სააბაზანო შენობის პირობებში; აქვეა საერთო საცხოვრებელი სახლი სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთათვის.

ზაფხულობით სურამში მუშაობს საკურორტო პოლიკლინიკა, რომელიც მოთავსებულია კურორტის ცენტრალურ ნაწილში. პოლიკლინიკაში მუშაობს თერაპიული, პედიატრიული, რენტგენდიაგნოსტიკური კაბინეტები და კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია. ამასთან ერთად, ყველა სანატორიუმს აქვს თავისი კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია.

ამ უკანასკნელ წლებში სურამს შეემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც უკვდავყოფს უკრაინელი და ქართველი ხალხის საუკუნოებრივ მეგობრობას. 1952 წლის 3 აგვისტოს აქ ზეიმით გაიხსნა უკრაინის გამოჩენილი პოეტი ქალის და დრამატურგის ლესია უკრაინკას (ლარისა პეტრეს ასულ კოსაჩ-კვიტკის, 1871—1913 წწ.) სახელობის სამკითხველო-მუზეუმი და ბრინჯაოს ძეგლი. ლესია უკრაინკამ აქ გაატარა თავისი ხანმოკლე, მაგრამ მეტად ნაყოფიერი ცხოვრების უკანასკნელი წლები.

ლესია უკრაინკას ძეგლი საქართველოში (სურამში) და სახელგანთქმული ქართველი მწერლის—დავით გურამიშვილის ძეგლი უკრაინაში (მირგოროდში) სიმბოლოა ქართველი და უკრაინელი ხალხის განუყრელი ძმური მეგობრობისა.

შიმდინარე საუკუნის დასაწყისში სურამის გოგირდის მინერალური წყაროების გამოსავალთან გაშენებულ იქნა პრიმიტიული სააბაზანო შენობები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამით, შეიძლება ითქვას, ამოიწურებოდა სურამის კეთილმოწყობაზე ზრუნვა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ მცირეოდენ სააგარაკო მშენებლობას, რომელსაც აწარმოებდნენ აქ ადგილობრივი კერძო მესაკუთრეები პირადი შემოსავლის გაზრდის მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1948 წლიდან სურამი გადაიქცა რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად და შევიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამართველოს სისტემაში.

მოკლე კლიმატური დახასიათება*

სურამი მდებარეობს ქვაბურში—ქართლ-იმერეთის ქედის სამხრეთი ნაწილის აღმოსავლეთ ფერდობებზე, რომელიც წყაროებითაა დასერილი. ეს წყაროები ქვებავს მდინარე სურამელას, რომელიც გაივლის კურორტის ტერიტორიას. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 720—860 მეტრით განისაზღვრება.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიჯნაზე აღმართულია ქართლ-იმერეთის ქედი, რომელიც მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, როგორც გიგანტური კაშხალი კავკასიონის მთავარ და აჭარა-ახალციხის ქედთა შორის.

მდინარე სურამელას მიერ შექმნილი ქვაბური იხურება დასავლეთით ქართლ-იმერეთის ქედის მწვერვალებით, რომელთა სიმაღლე აქ აღემატება 1000 მეტრს. ეს გიგანტური კედელი მთლიანად დაფარულია ფილოვანი ტყით და მხატვრული ტერასებით ეშვება ქვემოთ. ქედის შტოები მიიმართება კურორტის ჩრდილოეთითაც და ქვენის მდინარე სურამელას შენაკადების წყალგამყოფს. საშუალო სიმაღლის მთაგრეხილი გარშემორტყმულია კურორტის ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და თანდათან დაკანებულია მდინარე სურამელას მარცხენა სანაპიროსაკენ. ამ თაგრეხილის შუა ნაწილში აღმართულია ციცაბო კლდე, რომელზედაც შენარჩუნებულია სურამის ციხის ნანვრევები.

სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მდინარე სურამელას ხეობა მკვეთრად ფართოვდება და ერთვის ქართლის დაბლობს.

* კლიმატის დახასიათება შედგენილია ძირითადად გ. ჭირაჭაძის და რ. კავკასიძის მონაცემების მიხედვით.

სურამის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი
ხასიათდება შედარებით მაღალი მთებით, ხოლო სამხრეთი
და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი—დაბლობებით და წყა-
რი რელიეფით. სურამის მიდამოების კველაზე მაღალი წერ-
ტილის—მწვერვალ ედისჯვარის სიმაღლე აღწევს 1140
მეტრს ზღვის დონიდან. ქართლ-იმერეთის ქედის ციცაბო
ფერდობები ჩრდილოეთის მიმართულებით აღწევენ 3000
მეტრ სიმაღლეს და გამოდიან კლიმატგამყოფის როლში.
ისინი კმნიან ძლიერ ბუნებრივ ბარიერს საქართველოში გა-
ბატონებული დასავლეთისა და აღმოსავლეთის ატმოსფერუ-
ლი ნაკადების მიმართ.

მდინარე სურამელას ქმნის ორი შენაკადი—ორხევი და
შუალელე. თვით სურამელა კი წარმოადგენს მდ. ფრონეს
შენაკადს, რომელიც უერთდება მტკვარს ქარელის მახლობ-
ლად.

სურამის თავისებურ კლიმატურ კომპლექსს განსაზღვრავს
მისი რთული რელიეფური და გეოგრაფიული პირობები:
ადგილმდებარეობა და მასთან დაკავშირებული ატმოსფერუ-
ლი ნაკადების მიმართულებები.

ატმოსფერული ნაკადები, რომლებიც მოიმართებიან კუ-
რორტის ტერიტორიის დასავლეთიდან და აღმოსავლეთი-
დან აქ განვითარებულ მთა-ველის ქარებთან ერთად აფერ-
ხებენ ჰაერის დაგუბებით მოვლენებს და დადებით გავლენას
ახდენენ ძირითადად მის კლიმატურ კომპლექსზე. ადგილის
რელიეფური პირობები აძლიერებს ადგილობრივი ქარების
სისწრაფეს—მის ცირკულაციას. აქ განვითარებული ქარები,
განსაკუთრებით გაზაფხულის მეორე ნახევარში, ზაფხულში
და შემოდგომის პირველ ნახევარში დადებით გავლენას ახ-
დენენ კურორტის ჰავაზე. ისინი აძლიერებენ ჰაერის ვენტი-
ლაციას, ამცირებენ ტენიანობას, აფერხებენ ჰაერის შეგუბე-
ბით მოვლენებს, ანელებენ ზაფხულის სიცხეს; აქ დღე-ლა-
მის განმავლობაში მთიდან მოქმედ დასავლეთის ქარებსაც
ჰემოაქვთ სიგრძილე.

სურამის ჰავაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსაზღვრე ქართლის ველი, მკაფიოდ გამოხატული კონტინენტური ჰავით. ჰავის კონტინენტურ ხასიათზე შემარბილებელ გავლენას ახდენს შავი ზღვის ჰაერი, რომელიც სურამის რაიონში დასავლეთის ქარებს შემოაქვს. აღნიშნული მოვლენის შედევა სურამის ჰავის კონტინენტურობა უფრო სუსტად არის გამოხატული, ვიდრე მის მახლობლად აღმოსავლეთით მდებარე ქართლის ველის კლიმატის კონტინენტურობა. ქარების სისწრაფეზე და, ამასთან ერთად, თვით ჰავაზე შემარბილებელ გავლენას ახდენს კურორტის ტერიტორიაზე და მის გარშემო არსებული ტყის მასივები. აქედან გასაგებია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტყების დაცვას და მათ მიმდევრობის საერთოდ, რაც კადევ უფრო გააუმჯობესებს კურორტის კლიმატურ პირობებს.

სურამის კლიმატური მონაცემების შეჯამება საფუძველს იძლევა კურორტის კლიმატი მივაკუთვნოთ ზომიერად კონტინენტალურს—შედარებით გრილი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით; ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი არ აღემატება 36° ; ყველაზე თბილი თვის საშუალო თვიური ტემპერატურა უდრის 20° ; ტენიანობა ნორმალურია, ზაფხულის თვეების გამოკლებით, როცა იგრძნობა ჰაერის მეტი სიმშრალე.

ნალექების წლიური ჯამი უდრის დაახლოებით 650 მმ-ს. ყველაზე მეტად წვიმიანი პერიოდია გაზაფხული და, ნაწილობრივ, შემოდგრმა. თოვლის საფარი მყარია რამდენიმე თვის განმავლობაში, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის აქ ზამთრის სახეობის სპორტის განვითარებას.

ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში, როცა ცა მოწმენდილია, მზის უხვი რაღიაცია ხელს უწყობს კურორტზე მზის აბაზანების ფართო გამოყენებას.

სურამს ახასიათებს მიკროკლიმატური მრავალფეროვნება, რაც დაკავშირებულია რაიონის რელიეფურ პირობებთან. უკანასკნელ წლებში ჩატარებული დაკვირვებები იძლევა საორიენტაციო საშუალებას გამოიყოს კურორტის ტერიტორიაზე შემდეგი მიკროკლიმატური რაიონები:



စာနာရီတော်မြို့

1. თვით სურამი, სადაც მდებარეობს მჭიდროდ გაშენებული ქალაქი. ეს ადგილი ხასიათდება მაღალი ტემპერატურული მაჩვენებლებით; ლია აღმოსავლეთის ძლიერი ქარებისათვის, ვენტილაცია სუსტია.

2. ჯაპანაური-იტრია. ეს უბნები მდებარეობს მთების აღმოსავლეთ ფერდობებზე და დაცულია აღმოსავლეთის ძლიერი ქარებისაგან. აქ კარგად არის გამოხატული დასავლეთის ქარების მოქმედება. თერმული რეჟიმი ცოტად თუ ბევრად შენელებულია.

3. ბუგაური ლია აგვილია, შენელებული რელიეფით. კარგად ნიავდება, მოქმედების უმთავრესად დასავლეთის ქარების მოქმედების ქვეშ. ბუგაურის ლია აგვილები ხასიათდება მეტეოროლოგიური ელემენტების ნორმალური მსვლელობით. გარშემორტყმული ტყე და ბუჩქნარები დადებითად მოქმედებს ჰაერის ტემპერატურასა და ქარებზე.

4. კურორტის ტერიტორია, რომელიც მოქმედია მაღლობებზე (800—900 მ); ამ ზონაში შედის დასახლებული ადგილები: ბაიანთხევი, ზინდისი, ჩუმათელეთი და სხვ. ამ მიკრორაონს უკავია მდ. სურამელას ხევის ორივე ფერდობი. ჰაერის ტემპერატურა აქ სხვა უბნებთან ზედა რებით დაბალია. მთა-ველის ქარები მკვეთრად არის გამოხატული. ტყეების სიუხვე, ფერდობების ორიენტაცია და რელიეფის სხვა ელემენტები სურამის ამ ნაწილს საკურორტო მშენებლობის განვითარების კარგ პირობებს უქმნის.

უნდა აღინიშნოს, რომ სურამის კლიმატის თავისებურება აერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი, რის გამოც არც ის არის დადგენილი, თუ რომელ კლიმატურ ფაქტორებს უნდა მიეწეროს სურამის კლიმატური კომპლექსის საგრძნობლად გამოხატული კეთილმოქმედი გავლენა—განსაკუთრებით მაღარიით დაავადებულ ავაღმყოფებზე.


მინისტრის შეართები

სურამი განთქმულია თავისი კლიმატორაპიული თვისებებით. იგი ამავე დროს მდიდარია ბალნეოთერაპიული ფაქტორებით, რაც შას სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ მაჩვენებ-

K 82.324
3



იუნივერსიტეტი
ცენტრალური ბიბლიოთეკი



2. სამხატვა.

ლესია უკრაინკას სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი.

ლეგთან ერთად უქმნის მაღალხარისხოვან კლიმატურ-ბაზურ ნეოლოგიურ კურორტად განვითარების პერსპექტივებს.

1902 წელს გაზეთ „კვალში“ მოთავსებულ წერილში დ. ქარცივაძე აღნიშნავს: „გარდა წმინდა ჰაერისა, ეს დაბა შესანიშნავია სამკურნალო წყლებით. სურამში დასავლეთი-საკენ კლდიდან გამოდის წყარო (მლაშე გემოსი), რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს სისხლნაკლული ავადმყოფებისათვის. წყარო მიგდებულია უპატრონოდ. სურამიდან 3 ვერსის სიშორეზე მდებარეობს ჩუმათელეთი. აქედან იწყება ხეობა, სიგრძით 5—6 ვერსი. ამ ხეობაში არის აბანოები, რომლებიც ძლიერ უხდება ქარებით ავადმყოფებს (რევმატიზმი) და ხალხსაც ბლომად იწვევს“.

კურორტის ცენტრიდან 6 კილომეტრის მანძილზე სოფ. ბიჯნისში თანამოსახელე მდინარის ხეობაში არის მინერალური წყლების რამდენიმე წყარო. აღნიშნული და სხვა წყაროების ჰიდროგეოლოგიური პირობებისა და ფიზიკურ-ქიმიური თვისების შესწავლა ჩატარებულია მხოლოდ უკანასკნელი 5—6 წლის მანძილზე. აქამდე ბიჯნისის წყაროების საერთო სადლელამისო საორიენტაციო დებიტი განისაზღვრებოდა 10.000 ლიტრის ფარგლებში.

1953 წელს საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიურ ჩატარებულ ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად (50 მეტრი სიღრმის ბურლილის საშუალებით) დებიტი გადიდებულ იქნა 400.000 ლიტრამდე დღე-ლამეში, რამაც უზრუნველყო სურამში ბალნეოთერაპიის ფართო განვითარების პირობები; რადგან წყლის ტემპერატურა დაბალია, რა თქმა უნდა, აბაზანებისათვის გამოსაყენებლად მას ესაჭიროება გათბობა. ჯერ კიდევ 1928 წელს აქ აშენდა სააბაზანო შენობა და ჩამოსულ ავადმყოფთათვის საერთო საცხოვრებელი. აღნიშნული ბურლილის წყალი შეიცავს ცოტა-ოდენ აირვანგირდწყალბადსაც. მართალია, ამ წყალს ეფექტურად იყენებენ, მაგრამ მისი სამკურნალო თვისებების დასახასიათებლად მეცნიერულად საკმაოდ დასაბუთებული შასალები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, გარდა საბადოების ჰიდროგეოლოგიური დაზვერვებისა და ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევებისა.

• (သဒ္ဓရန်ရေးရှင်၊ ရုပ်သွေ့သမဂ္ဂ၊ ပယ်ဇူးသွေ့သမဂ္ဂ) သမာနရွှေသမဂ္ဂရေးသွေ့သမဂ္ဂ



ગુજરાતી લિપિ




13



040105520
8084000000

20




ბავშვთა სანატორიუმი.

გივის გიმაზიუმი შელი ანალიზი

ერთ ლიტრ წყალში შედის	გრამი	მილიგრამ ექვივალენტი.	მილიგრამ ექვი- ვალენტ. %
ნატრიუმი და კალიუმი ..	0,0184	0,80	27,30
კალციუმი	0,0420	2,10	71,67
მაგნიუმი	0,0041	0,03	1,03
		2,93	100,000
ჰლორი	0,0071	0,20	6,82
სულფატი	0,0210	0,43	14,69
ჰიდროკარბონატი	0,1403	2,30	79,49
კაშის ნაჟარები	0,0180	—	—
რკინისა და ალუმინის ნა- ჟარები	0,0340		

კურლოვის ფორმულა:




ჩუმათელეთის მინერალური წყლის წყაროები მდებარეობს კურლორტის ცენტრიდან 3—4 კილომეტრის მანძილზე. აქ კირქვების ნაპრალებიდან ამოდის წყალი, რომლის ტემპერატურა არის 14°. მისი საორიენტაციო დებიტი აღწევს 40.000 ლიტრს დღე-ღამეში.

1950 წელს საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურლორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულია ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოები. წყლის ზოგადი მინერალიზაცია ერთ ლიტრში უდრის 0,6 გრამს. წყლის მთავარ კომპონენტთაგან აღსანიშნავია კალციუმის ჰიდროკარბონატი, აგრეთვე ჰლორი, სულფატი და მცირე რაოდენობით გოგირდწყალბადი. აქ არსებული ნახევრად პრიმიტიული სააბაზანო შენობა 1950 წელს რეკონსტრუირებულ იქნა დადგენისათვის იგი, შეიძლება ითქვას, შედარებით კეთილმოწყობილია. აქ ცემენტის სახურავიანი წყალსაცავიდან წყაროს წყალი შედის აუზში, სადაც იგი თბება და ნაწილდება სააბაზანო კაბინებში.

ჩუათელეთის გიმაზიუმის შეკვეთის ანალიზი

ერთ ლიტრ წყალში შედის	გრამი	მილიგრამ ექვივალენტ.	მილიგრამ ექვივალენტ. %
ნატრიუმი და კალიუმი	0,0368	1,58	20,08
კალციუმი	0,0879	4,39	55,78
მაგნიუმი	0,0231	1,90	24,14
			100,00
ჭლორი	0,0423	1,19	15,12
სულფატი	0,0676	0,78	9,91
ჰიდროკარბონატი	0,3594	55,90	74,97
ჰოგადი მინერალიზაცია	0,5665		100,00

კურლოვის ფორმულა:



აღნიშნული მინერალური წყალი მოსახლეობაში სარგებლობს დიდი პოპულარობით — ძირითადად სახსრების, პერიფერიული ნერვების, გულ-სისხლძალვთა და, აგრეთვე, გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის დროს.

როგორც ზემომოყვანილი ანალიზებიდან ჩანს, ჩუმათელეთის და ბიჯნისის მინერალური წყლები მიეკუთვნება სუტი მინერალიზაციის ჰიდროკარბონატულ-ჭლორიდულ-სულფატურ-კალციუმ-ნატრიუმიანი ცივი წყლების ჯგუფს. ჩუმათელეთის წყალი შეიცავს ოუნავ მეტი რაოდენობით მაგნიუმისა და ჭლორის იონებს, მაშინ როდესაც ბიჯნისის წყალი შეიცავს სეტი რაოდენობით ნატრიუმისა და სულფატის იონებს. ორივე წყარო გამოდის ხელსაყრელ ბუნებრივ და კლიმატურ იდგილებში, რაც ხელშემწყობ პირობებს ქმნის მაღალეფებზე კურორტური კურორტული მკურნალობისათვის.

კურორტის ცენტრალურ აღგილზე, მდინარე სურამელას მარჯვენა მარეს, მდებარეობს აგრეთვე ეგრეგიული სურამის რკინიანი წყლის წყარო. წყალი შეიცავს რკინას, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ბლომად ერევა მტკნარი წყალი და

ამის გამო საერთო მინერალიზაციით იგი თითქმის არ გაუსწევავდება ამ უკანასკნელისაგან. იგი გამოირჩევა იმით, რომ მეტი რაოდენობით შეიცავს რკინას, რის გამოც იყენებენ სასმელად. მისი ჰიდროგეოლოგიური პირობები ჯერჯერობით არ არის შესწავლილი, არსებობს მხოლოდ ქიმიური ანალიზი (1956 წ.), რომელიც გაკეთებულია საჭართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტის ქიმიური ლაბორატორიის მიერ, რომლის მიხედვითაც ეს წყალი მეტად სუსტი საერთო მინერალიზაციისაა და მიეკუთვნება ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-კალციუმიატრიუმიან წყლებს (0,5 გ ერთ ლიტრში).

ამ უკანასკნელ წლებში სურამის ზემოალნიშნული მინერალური წყლების აბაზანებით სხვადასხვა დაავადების ეფექტური მკურნალობის შედეგებმა ფართოდ გაუთქვა სახელი სურამს და მანამდე თითქოს მხოლოდ კლიმატური კურორტი გადაიქცა რესპუბლიკური მნიშვნელობის კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტად.


სურამის მინერალური („რძინიანი“) წყლის ანალიზი

ანალიზი ჩაატარა ვ. ულუხანოვმა. სინჯი აღებულია 1956 წ.

20 დეკემბერს

ერთ ლიტრ წყალში	გრამები	მგ. ექვ.	მგ. ექვ. %
კატიონები:			
	0,0490	2,13	32,57
	0,0100	0,82	12,54
	0,0640	3,20	48,93
	0,0110	0,39	5,96
ჯამი		6,54	100.00
ანიონები:			
	0,0124	0,35	5,35
	0,0741	1,54	23,55
	0,283	4,65	71,10
ჯამი		6,54	100.00

კურლოვის ფორმულა:



კურორტის სამკურნალო ფაქტორები

სურამის ძირითად ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს ამ კურორტის მაღალეფებზე კლიმატური პირობები: შედარებით გრილი ზაფხული, მოლრუბლული დღეების მცირე რაოდენობა და, ამასთან დაკავშირებით, მხის უხვი რადიაცია. ეს კურორტი თავისი კლიმატური მონაცემებით, შეიძლება ითქვას, არ ჩამოუვარდება ჩვენს სახელგანთქმულ სხვა კლიმატურ კურორტებს, ზოგიერთი მაჩვენებლებით კი მათზე უფრო მაღლაც დგას.

მიუხედავად იმისა, რომ სურამი თავისი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით მაღალ სამკურნალო ეფექტს იძლევა მრავალი სხვადასხვა დაავადების დროს, ჩატარებულ მეცნიერულ დაკვირვებათა თვალსაჩინო ნაწილი უმეტესად ეხება ძირითადად სურამის კლიმატური კომპლექსის გავლენას მალარიით დაავადებულ ავალმყოფებზე და ამ დაავადებასთან დაკავშირებულ მეორად ანემიებზე. თუმცა სურამი მართლაც განსაკუთრებით მაღალ სამკურნალო ეფექტს იძლევა მალარიით დაავადებულთა მკურნალობის საქმეში, მკვლევართა ეს განსაკუთრებული ყურადღება მალარიის მიმართ ნაწილობრივ მაინც უნდა აიხსნას ჯერ კიდევ გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში (1891—1895 წწ.) აქ რკინიგზის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ მალარიით დაავადებულ რკინიგზელთა სამკურნალო დაწესებულების ე. წ. სამალარიო პუნქტის გახსნით.

ექიმ ჭ. ი. მიროტაძის მიერ მალარიით დაავადებულებზე ჩატარებული დაკვირვებების მიხედვით (1926 წ.), სურამში 3—4 კვირის განმავლობაში კლიმატური მკურნალობის შედეგად ავალმყოფები იმატებდნენ ჭონაში საშუალოდ 3—4 კგ და, ამასთან ერთად, მათ სისხლში წითელი ბურთულების რაოდენობა და ჰემოგლობინი შესამჩნევად მატულობდა.


ექიმები გ. ნ. გორდაძე, გ. ს. დიდიანიძე და ი. ო. დონ-ჯაშვილი, რომლებმაც ჩატარეს დაკვირვება სურამში სამკურნალოდ ჩამოსულ მალარიით დაავადებულებზე (2000 ავალმყოფი), აღნიშნავენ მათი საერთო მდგომარეობის მნიშვნელო-

ვან გაუმჯობესებას. მათ მოიმატეს წონაში 1-დან 6 კვ-მდე და, თუ სურამში ჩამოსვლისას შათ მორის ნორმალური სიღილის ელენთა აღენიშნებოდა მხოლოდ 23% -ს, მკურნალობის და-მთავრების შემდევ ეს რიცხვი გაიზარდა 75% -მდე. თუ სუ-რამში ჩამოსვლისას ზოგიერთ ავადმყოფს აღენიშნებოდა გამწვავება დაავადების პროცეციული პაროქსიზმების სახით, სისხლში მალარიის პლაზმოზიების აღმოჩენით და. შეტევების 2—3-ჯერ განმეორებით, შემდევში შეტევები მაღა წყდებო-და, ავადმყოფებს ეზრდებოდათ ჭამის მაღა, იწყებდნენ წონაში მატებას და სწორავად უმჯობესდებოდა მათი ჯან-მრთელობის საერთო მდგომარეობა. აღნიშნულ ავადმყოფთა სისხლის შემადგენლობის შესწავლით ირკვეოდა, რომ იმ ავადმყოფებში, რომელთაც თან ახლდათ შკვერრად გამოხატუ-ლი სისხლნაკლებობა ჰემოგლობინისა და სისხლის წითელი ბურთულების დაჭვეითებით, დასაწყასში შკვერრად მატუ-ლობდა ჯერ სისხლის. წითელი ბურთულების რაოდენობა, შემ-დეგ კი პარალელურად — ჰემოგლობინიც. მკურნალობის ბო-ლოს სისხლის შემადგენლობის ყველა მაჩვენებელი აღწევდა ნორმას. ამავე დროს სისხლის თეთრი ბურთულებიც განიც-დიდნენ დადებით ცვლილებებს, თუმცა უფრო სუსტად გამო-სახულს.

პროფ. ნ. მახვილაძემ და ექიმება ნ. ერისთავმა ამავე პე-რიოდში კურორტ სურამში ჩაატარეს დაკვირვება მალარი-ით და გაურკვეველი წარმოშობის მეორადი ანემიის მძიმე ფორმით დაავადებულ 700 ავადმყოფზე. დაკვირვების შედე-გებმა მთლიანად დაადასტურეს ზემოხსენებული ავტორების მიერ მიღებული დასკვნები: ავადმყოფები სურამში ჩამო-ვლისას განიცდიან მალარიის 2—3 შეტევას, შემდეგ შეტევე-ბი წყდება და იწყება საერთო მდგომარეობის გარკვეული გა-უმჯობესება. მეორადი ანემიით დაავადებულ ავადმყოფებს კი სურამში ჩამოსვლისთანავე ეწყებათ სისხლში წითელი ბურ-თულების ახალგაზრდა ფორმების გამოჩენა და გამრავლება, რაც გრძელდება შანაშ, სანამ სისხლის შემადგენლობა არ მიაღწევს ნორმას.



ଓଡ଼ିଆ
ପ୍ରକାଶନ



କୁରୁକ୍ଷେତ୍ରରେ ଅନ୍ଧାଳୀଙ୍କିତ ମହାଦେବାଳୟ।

1951 წელს ზაფხულში საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების, ექიმების ტ. გორდელაძის და თ. ქადაგიძის მიერ კლიმატოლოგ რ. კავკასიძესთან ერთად ჩატარებულ იქნა დაკვირვება მეორადი ანემიით და ნევრასთენიით დაავადებულებზე სურამის სხვადასხვა ამინდის გავლენის შესწავლის მიზნით. დაკვირვების შედეგად ავტორები მივიღნენ შემდეგ დასკვნამდე: სურამის ჰავა დადებით გავლენას ქახდენს მეორადი სისხლნაკლებობით და ნევრასთენიით დაავადებულებზე, რაც გამოიხატება სუბიექტური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად სისხლის წითელი ბურთულების წარმოშობის გაძლიერებაში. გამოირკვა აგრეთვე ამინდის ცალკეული ტიპების და ავადმყოფის ორგანიზმის რეაქციის ურთიერთდამოკიდებულება. ამასთან ერთად, უკეთესი კლიმატოლოგიური შედეგები მიღებულ იქნა 1951 წლის ივლის-აგვისტოს თვეებში, რასაც ავტორები მიაწერენ ამ პერიოდში ამინდის ხელსაყრელ პირობებს.

1950—1951 წლებში საქართველოს სსრ კურორტთა სამართველოს სურამის საბავშვო სანატორიუმში ექიმ ე. ორჯონიკიძის მიერ ჩატარებული დაკვირვებების შედეგად გამოირკვა, რომ ამ კურორტის კლიმატური კომპლექსი მკაფიოდ გამოხატულ დადებით სამკურნალო ეფექტს იძლევა ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვებში.

როგორც ზემოაღნიშნული მასალებიდან ჩანს, ყველა ექიმი, რომელსაც უმუშავია სურამში და უწარმოებია დაკვირვება ორგანიზმზე ამ კურორტის კლიმატის გავლენაზე, აღნიშნავს მაღალსამკურნალო ეფექტს მაღარიით, მეორადი სისხლნაკლებობით და ლიმფადენიტით დაავადებულ ავადმყოფებში. მკვლევარები ამ მოვლენას ხსნიან სურამის ჰავის თავისებურებებით, მისი ხელშემწყობი მოქმედებით სისხლწარმომქმნელ სისტემაზე, რაც გამოიხატება სისხლის სწრაფ რეგენერაციაში. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მაღარია პირველ რიგში და ძირითადად აზიანებს სისხლის შემაღვენლობას, სისხლწარმომქმნელ სისტემას, მკურნალობის ეფექ-



ეროვნული
ბიблиოთეკა

28



სასტუმრო და პოლიკლინიკა.

ტურობა და გაჯანსაღების ხანგრძლიობაც სისხლის დგენის პროცესის ინტენსიურობაზეა დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ სურამის ჰავა მაღარით დაავა-
 დებულებზე ეჭვგარეშე იძლევა მაღალ თერაპიულ ეფექტს, ეს
 მაინც არ გვაძლევს უფლებას მივიჩნიოთ იგი მაღარის სამკურ-
 ნალო სპეციფიკურ კურორტად; სურამის კლიმატური პირობე-
 ბი კურორტის სხვა სამკურნალო ფაქტორებთან ერთად ხელს
 უწყობს ორგანიზმის დამცაველი თვისებების გაძლიერებას,
 ააქტივებს ინფექციასთან ბრძოლის უნარს. ორგანიზმში მოქ-
 ლე დროის მანძილზე ხდება რთული აღდგენითი პროცესები,
 რომლებიც ხელს უწყობენ ავადმყოფური მოვლენების სწრაფ-
 ლიკვიდაციას. სწორედ ამაში მდგომარეობს სურამის კლიმა-
 ტური თვისებურების დამხმარე როლი, რაც განაპირობებს
 მკურნალობის ესოდენ სწრაფ ეფექტურობას. ამითვე უნდა
 აიხსნას სურამის ჰავის მაღალსამკურნალო ეფექტურობა
 ლიმფური ჯირკვლების ანთებითი პროცესების, პლევრიტის
 და, აგრეთვე, განსაკუთრებით მწვავე დაავადებათა გადა-
 ტანის შემდგომ პერიოდში (რეკონვალესცენციის დროს).

ზღვის ჰაერის ნაკადები, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნუ-
 ლი, იჭრება სურამის ულელტეხილის გადალახვით კურორტის-
 ტერიტორიაზე და აქ ახდენს შეშარბილებელ გავლენას მთის
 კლიმატზე, შეაქვს რა მის შემაღენლობაში ზღვის კლიმა-
 ტური კომპლექსის ელემენტები. რაც მეტად ხელსაყრელ
 გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტე-
 მის დაავადებებზე. სწორედ ამით აიხსნება აღნიშნული კატე-
 გორიის ავადმყოფებზე სურამის ჰავის დადებითი გავლენა,
 რასაც ხაზგასმით აღნიშნავს პროფ. ნ. მახვილაძე, განსაკუთ-
 რებით გულის კომპენსაციის პირველი ხარისხის დარღვევის
 დროს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სურამის ასევე მნი-
 შვნელოვან მეორე საკურორტო-სამკურნალო ფაქტორს
 შეადგენს ბიჯნისისა და ჩუმათელეთის მინერალური წყლები,
 რომელთა სამკურნალო გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნე-
 ლოვნად აფართოებს კურორტზე მკურნალობის ჩვენებებს.
 ამ წყლების გამოყენება პირველ რიგში მიზანშეწონილად
 უნდა ჩაითვალოს კლიმატური მკურნალობისათვის ნაჩვენებ

დაავადებათა ისეთ თანდართულ სნეულებათათვის, რომელიც საჭიროებენ ბალნეოთერაპიულ ჩარევას.

კნობილია, რომ საერთოდ თბილი აბაზანები და განსაკუთრებით კი სურამის გოგირდიან-გოგირდწყალბადიან-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიანი ტიპის წყლების აბაზანები კარგ გავლენას ახდენს სახსრების, კუნთების, პერიფერიული ნერვული სისტემის (ნევრიტები, ნევრალგიები, მიოზიტები, მიალგები და სხვ.) და აგრეთვე გინეკოლოგიური, კანის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა ქრონიკულ ფორმებზე.

ზემოაღნიშნული დაავადებებით შეპყრობილ ავადმყოფებს წარმატებით მკურნალობენ სურამში, რაც დასტურდება სურამის მოზრდილთა სანატორიუმში ხანგრძლივი დაკვირვებებით (ექ. ა. მაჭავარიანი და სხვ.).

აღნიშნული დაავადებების დროს ავადმყოფებს საერთო სანატორულა მკურნალობისა და რეჟიმის ფონზე ენიშნებათ მინერალური წყლის აბაზანები—დღეგამოშვებით ან ყოველდღე, თუმცა ზოგ შემთხვევაში ეს აბაზანები ენიშნებათ ავადმყოფებს ყოველი მესამე დღის გამოშვებით. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობის დროს ავადმყოფებს ენიშნებათ $36-34^{\circ}$ ტემპერატურის აბაზანები, $10-12-15$ წუთის ხანგრძლიობით; მკურნალობის კურსი განისაზღვრება $12-15$ აბაზანით. ზემოჩამოთვლილ დაავადებათა მკურნალობის დროს (გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების გარდა), უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფებს ენიშნებათ $35-37^{\circ}$ ტემპერატურის და 15 წუთის ხანგრძლიობის აბაზანები ყოველ მესამე დღის გამოშვებით. მკურნალობის კურსი შეიძლება განისაზღვროს $15-20$ აბაზანით.

მრავალი დაკვირვების შედეგად დადგენილია, რომ კურორტზე კომპლექსური მკურნალობა ხელშემწყობ კლიმატურ პირობებში ბალნეოთერაპიასთან და აგრეთვე სხვა საჭირო სამკურნალო საშუალებებთან ერთად, მნიშვნელოვნად ამაღლებს მკურნალობის ეფექტურობას, თუ ასეთი კომბინირებული მკურნალობა რაციონალურად არის გამოყენებული ყოველ ავადმყოფზე ინდივიდუალური მიღვომის პრინციპის გათვალისწინებით. კურორტ სურამის პირობებში კომპლექ-

სურ მკურნალობაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს მზისა და ჰაერის აბაზანებისა (ჰელიო-აეროთერაპიას) და, აგრეთვე, სამკურნალო ფიზკულტურის და დიეტური მკურნალობის ფართო გამოყენებას.

კურორტ სურამში მკურნალობის ჩვენებაზი

1. მეორადი ანგმია.
2. რეციდივული მალარია.
3. რეკონვალესცენტები (მძიმე, მწვავე დაავადებათა გადატანის შემდეგი პერიოდი).
4. ლიმფადენიტები.
5. მშრალი პლევრიტი.
6. ნევრასთენიის არამძიმე ფორმები.
7. ქრონიკული ბრონქიტი და ბრონქული ასთმა იოლ ფორმებში.
8. სახსრებისა და კუნთების სხვადასხვა ეტიოლოგიის ქრონიკული დაავადებები.
9. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები (ნევრიტები, ნევროლგიები და სხვ.).
10. ქრონიკული გინეკოლოგიური ანთებითი პროცესები.
11. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები კომპენსაციის I ხარისხის დარღვევით.
12. კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავადება (დერმატოზები, ნეიროდერმიტები და სხვ.).

უკანასკნელ ხუთ პუნქტში მოხსენებული დაავადებები ნაჩვენებია სურამისათვის, როგორც თანდართული დაავადებები პირველ შვილ პუნქტში აღნიშნული (სურამისათვის ძირითადად ნაჩვენებ) დაავადებებისა.

სურამის ბალნეოთერაპიული ფაქტორების მიმართ ბალნეოტექნიკის თანამედროვე დონეზე დაყენებისა და ბალნეოპროცედურების ფართოდ გამოყენების პირობებში, შესაძლებელი გახდება კურორტზე მკურნალობის ჩვენებათა გაფართოება.

კურორტ სურამის კუთილების განვითარების პრესკრიპტი

სურამის ფიზიკურ-გეოგრაფიული, კლიმატური და კლი-შატოთერაპიული მონაცემები აღასტურებს, რომ იგი არის მაღალხარისხოვანი საშუალო მთის კლიმატურ-ბალნეოთე-რაპიული კურორტი. ფიჭვის ექსტრაქტის სურნელებასთან შეზავებელი სუფთა ჰაერი, მზის უხვი რაღიაცია და ბუნე-ბის სილამაზე სურამში მრავალ ავადმყოფს და დამსვენებელს იზიდავს. ამასთან ერთად, ბევრი ჩამოდის აქ ჩუმათელეთის და ბიჯნისის მინერალური წყლებით სამკურნალოდ, რომე-ლიც ხელს უწყობს კომბინირებულ დაავადებათა კომპლექ-სურ მკურნალობას.

სურამის ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები— ჰაერი და მინერალური წყლები უქმნიან მას მთელი წლის გან- მავლობაში მოქმედ კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტად განვითარების პერსპექტივის მეტად ხელსაყრელ პირობებს.

რა თქმა უნდა, საკურორტო რაციონალური მშენებლო- ბის გაშლისათვის საჭიროა, პირველ რიგში, შედგეს კურორ- ტის გაშენებისა და კეთილმოწყობის გენერალური გეგმა, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს ფართო გეოლოგიურ-და- ზვერვითი სამუშაოები მინერალური წყლების საერთო რე- სურსების გამოვლინების მიზნით. სურამში ავადმყოფთა მკურ- ნალობის ჩვენება-წინააღმდეგჩვენებათა დაზუსტების მიზნით, საჭიროა, კლიმატისა და მინერალური წყლების ყოველმხრივ შესწავლასთან ერთად, ორგანიზმების მათი მოქმედების ყო- ველმხრივი კლინიკურ-მეცნიერული დაკვირვებების ჩატარება.

განაშენიანების გენერალურ გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს კურორტზე სანატორიუმების, პანსიონატების სასტუმროების, სააბაზანო შენობების, პოლიკლინიკების, ფიზკულტურის მოედნების, აეროსოლარიუმებისა და აგრეთ- ვე მთელ რიგ სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ და საკუ- რორტო დამხმარე დაწესებულებათა და ნაგებობათა მშენებ- ლობა (წყალსადენი, ელექტროგანათება, კანალიზაცია, შიდა- საკურორტო გზები და სხვ.).

ამასთან ერთად, გენერალურმა გეგმამ უნდა გაითვალისწინოს კურორტის გამშვანება, ბალებისა და პარკების მოწმობა, სამკურნალო ბილიკების (ტერენკური), კურზალისკინოთეატრისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობა. მასში გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეთვე ისეთი ლონისძიებებიც, რომელთა ჩატარება ხელს შეუწყობს კურორტის სანიტარული პირობებისა და საერთო საკურორტო რეჟიმის დაცვას (კირისა და ცარცის ქარხნის საკითხის მოვარეობა, მდინარე სურამელას კალაპოტში სათანადო სამუშაოთა ჩატარება და სხვ.).

სურამი თავისი მდიდარი ბუნებრივი საკურორტო მონაცემებით მოკლე ხანში შეიძლება ჩადგეს საქართველოს მოწინავე კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტთა რიგებში.

შ 0 6 1 5 რ ს 0

წინასიტყვაობა	3
სურამის ადგილმდებარეობა და მოქლე ისტორიული ცნობები	4
მოქლე კლიმატური დახასიათება	12
მინერალური წყაროები	16
კურორტის სამკურნალო ფაქტორები	24
კურორტ სურამში მკურნალობის ჩვენებანი	31
კურორტ სურამის კეთილმოწყობის პერსპექტივები	32

გამომცემლობის რედაქტორი ქ. შარაშენიძე
მხატვარი ვ. მაისურაძე
ტექნიკური რ. ძოწენიძე
კორექტორები თ. ცინცაძე, დ. ცინცაძე

რედაქტორი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XII-58 წ. ქაღალდის
ზომა 84×108_{1/32}. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი
1,45 ნაბეჭდი თაბახი 2,25

ფასი 1 გან.


უ 06487.

ტირაჟი 3.000.

შეკვ. № 1267

საქართველოს სსრ. მთავარპოლიგრაფგამომცემლობის
სტამბა № 4. თბილისი. მედქალაქი.

Типография № 4 Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, Медгородок.



Михаил Юлонович Нодия,
Шота Васильевич Мшвениадзе

С У Р А М И

(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1958



১৩/৫৮